განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი- სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება

(პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)

ლესიჭინეს N1 საბავშო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *ანა კანჯარაძე*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ზოია გაგნიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *გიორგი ხუციშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე გულუა*

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი- სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	442261847
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	ლესიჭინეს N1 საბავშო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	საქართველო, ჩხოროწყუ, დ. ჩხოროწყუ. ჭავჭავაძის ქ.N3

პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე, 1-ლი ქუჩა, N37
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)*	MES 8 26 0000466883 22/04/2026
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	4-5 მაისი, 2026 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	**ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა**

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“;	ქართული	არა	50
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 22 აპრილის ბრძანება MES 8 26 0000466883 საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრთა საავტორიზაციო ვიზიტი ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღში. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. საავტორიზაციო ვიზიტი დაიგეგმა 2026 წლის 4-5 მაისს, 10 საათიდან 18 საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. ექსპერთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების (შემდგომში - დროებითი წესი) მე-6 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში საქმიანობა განახორციელა წინასწარ შედგენილი გრაფიკის, დღის წესრიგის მიხედვით. თითოეული სტანდარტის, კომპონენტის, კრიტერიუმის და ინდიკატორის მიხედვით შეფასებული იქნა ყველა საკითხი. შედგა ინტერვიუები, მოხდა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა - შეფასება, სივრცის ვიზუალური დათვალიერება, ვიზიტის ბოლოს გამოითქვა ძირითადი მიგნებები.

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაცია ადგილზე ვიზიტისას იქნა შესწავლილი. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. მოხდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება და ფოტო გადაღება. ჩატარდა გასაუბრება, როგორც ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი- სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლებთან, ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღის მენეჯერთან, ასევე საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის ორივე დღეს ესწრებოდნენ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი- სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენლები.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ პირისპირ გასაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პირებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია შესაბამის სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის დღის ბოლოს ჯამდებოდა ვიზიტის დღე. ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დროს გამოკვეთილი მიგნებების შესახებ. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. დაწესებულების პერსონალი აღნიშნავდა, რომ ავტორიზაციის პროცესი საკუთარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების უკეთ გააზრებაში დაეხმარა. ასევე, გამოთქვამდნენ მზაობას სიახლეების მიმართ. თანამშომლები საუბარში აღნიშნავდნენ, რომ არსებული გამოწვევების დროულად იდენტიფიცირება და ავტორიზაციის სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა გააუმჯობესებს სკოლამდელი განათლების ხარისხს.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....

8. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] *(პროგრამის სახე* - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) *(კურიკულუმის დასახელება* - ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6-წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის))		
2. კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემუშავებულია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების“ მარეგულირებელი წესის (ბრძ: N32ა 16.02.2026 წელი,) საფუძველზე, მისია შემუშავებულია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის (გაერთიანების დირექტორის ბრძ. #31 16.02.2026) მიერ. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: გაერთიანების დირექტორი, დირექტორის მოადგილე, გაერთიანების ფინანსური მენეჯერი, სარაქონის საბავშვო ბაღის მენეჯერი, ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღის მენეჯერი, მშობელი, მერის მოადგილე (მოწვევით). ჯგუფს ბრძანებით დაევალა შეიმუშაოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მისია, ხედვა, ღირებულებები; ბ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; გ) მონიტორინგი და შეფასების პროცესების უზრუნველყოფა;

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის მიერ (ოქმი #1 და #2; 16.02.2026) შემუშავდა დაწესებულების მისია, რომელიც ასე ჟღერს: **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული ბავშვისთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლებისა და მზრუნველობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ჩვენი მიზანია შევქმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას-ფიზიკურ ჯანმრთელობას, სოციალურ-ემოციურ უნარებს, შემეცნებასა და კულტურულ იდენტობას, რათა თითოეული აღსაზრდელი მომზადებული შეხვდეს სასკოლო ცხოვრებას.**

აღნიშნული მისია წარმოადგენს დაწესებულების ფუნდამეტურ დანიშნულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დაწესებულების იდენტობის ფორმირება, დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს. წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია შემუშავებულია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის (გაერთიანების დირექტორის ბრძ. #31 16.02.2026) მიერ.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის მიერ (ოქმი #1 და #2; 16.02.2026) შემუშავებულია ორგანიზაციის ხედვა და ღირებულებები. დაწესებულების ხედვაა **"ვიყოთ რეგიონში სამაგალითო გაერთიანება, სადაც: დანერგილია სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები და ინოვაციური მიდგომები ;**

ინფრასტრუქტურა არის სრულიად ადაპტირებული, უნივერსალური, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა; აღმზრდელ სპეციალისტები არიან მოტივირებული და მუდმივად განვითარებადი პროფესიონალები;

არსებობს მჭიდრო, ნდობაზე დაფუძნებული კავშირი ბაღს, ოჯახსა და თემს შორის".

დაწესებულების მიერ შემუშავებული ხედვა საკმაოდ ამბიციურია. თუმცა, სასურველია მეტად ასახავდეს დაწესებულების - ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღის და არა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების მისწრაფებებს როგორ ხედავს თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

დაწესებულებამ წარმოადგინა ორგანიზაციის ღირებულებები შემდეგი ფორმულირებით::

დაწესებულების ღირებულებებია:

- ბავშვის უფლებების დაცვა
- ინკლუზიურობა და თანასწორობა
- ჯანსაღი ცხოვრების წესი
- კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა
- გუნდურობა და თანამშრომლობა
- სტრატეგიული პრიორიტეტები

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით მიდის დაწესებულება, არის მარტივი და გასაგები, ღირებულებებში გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რომელთა დაცვითაც მუშაობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია ხედვა იყოს მოკლე განაცხადი და განსაზღვრული, როგორც დაწესებულების და არა გაერთიანების სასურველი მისაღწევი მდგომარეობა დროის კონკრეტული პერიოდისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16.12 N32ა ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ -ის მე-4 მუხლის შესაბამისად, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებების და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 16.02 N31 ბრძანებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების" დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყო მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხდება ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის (გაერთიანების დირექტორის ბრძ. #31 16.02.2026) შექმნის ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: გაერთიანების დირექტორი, დირექტორის მოადგილე, გაერთიანების ფიანსური მენეჯერი, სარაქონის საბავშვო ბაღის მენეჯერი, ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღის მენეჯერი, მშობელი, მერის მოადგილე (მოწვევით). ჯგუფს ბრძანებით დაევალა შეიმუშაოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მისია, ხედვა, ღირებულებები; ბ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; გ) მონიტორინგი და შეფასების პროცესების უზრუნველყოფა;

ზემოხსენებულმა სამუშაო ჯგუფმა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებისთვის ჩაატარა სამუშაო შეხვედრები.

დაწესებულებამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავების პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულება (ოქმი #1 და #2; 16.02.2026) , მათ შორის ფოტო-მასალა.

გაერთიანების წარმომადგენლებთან და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირების საფუძველზე დასტურდება რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების" დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის" მე-8 მუხლი არეგულირებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, "**მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესით მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა, გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები: ა) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში_ და გაერთიანების სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში; ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების/ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე; გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლების ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) ელექტრონული ფოსტა; ბ) სოციალური მედია".**

დაწესებულებამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეებითან გაზიარების პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულება (ოქმი #1 და #2; 16.02.2026). ამავეს ადასტურებს დაწესებულების სოციალურ გვერდზე გაზიარების და საჯაროდ გაცნობის პროცესი. მათ შორის წარმოდგენილი ფოტო-მასალა. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, სადაც ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მათი გაცნობა.

გაერთიანების წარმომადგენლებთან და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირების საფუძველზე დასტურდება რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანება "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის" დამტკიცების შესახებ;
2. დანართი - "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესი" (ბრძ. #32ა 16.02.2026)
3. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 16 თებერვლის N 31 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის ოქმი #1 (16.02.2026)
5. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის ოქმი #2 (16.02.2026)
6. საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფა;
7. ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღის სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/lesich.ines.p.irveli.sabavshvo.baghi
8. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენელთან, დაწესებულების მენეჯერთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესი, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში მუხლი 13. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება - გაწერილია, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება აღნიშნული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელი) და დასასრულს. ამავე მეთოდოლოგიის მუხლი 14-ის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სამოქმედო გეგმა მონიტორინგდება კვარტალურად, ხოლო შეფასება-ყოველწლიურად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი გამოიყენებსს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ასევე, მეთოდოლოგიაში გაწერილი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასება და პერიოდულობა, საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2,5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშების სახით, ნარატიული

ფორმით (მუხლი 15.). რაც შეეხება დაგეგმვის პროცესში ჩართულობას, სტრატეგიული მეთოდოლოგიის მე-4 მუხლის შესაბამისად, გაწერილია პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები. პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეებია:

ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები

ბ) ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები

გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენლები/საკონსულტაციო საბჭო

დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი

ე) სხვა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის (გაერთიანების დირექტორის ბრძ. #31 16.02.2026) შექმნის ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: გაერთიანების დირექტორი, დირექტორის მოადგილე, გაერთიანების ფინანსური მენეჯერი, სარაქონის საბავშვო ბაღის მენეჯერი, ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღის მენეჯერი, მშობელი, მერის მოადგილე (მოწვევით). ჯგუფს ბრძანებით დაევალა შეიმუშაოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მისია, ხედვა, ღირებულებები; ბ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; გ) მონიტორინგი და შეფასების პროცესების უზრუნველყოფა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების 2026-2031 წწ ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 16.02 N33 ბრძანებით ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტარტეგიული გეგმა არის ხუთწლიანი. სტრატეგიული გეგმა მოიცავს ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ 32 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებას. ის შემუშავებულია პროცესის SWOT ანალიზის პრინციპის გამოყენებით, კერძოდ: დაწესებულებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრასა და ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების შედეგად საშუალო ვადიანი გეგმების ჩამოყალიბებას და დაინტერესებულ მხარესთან გაზიარებას უკუკავშირის მისაღებად დოკუმენტის დეტალების სრულყოფის მიზნით. შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, ერთხის მხრივ, გამომდინარებს მისია, ხედვა, ღირებულებებიდან, ხოლო მეორე მხრივ ეყრდნობა SWOT ანალიზის შედეგებს. სტრატეგიული გეგმა ხუთწლიანია და შედგება 5 სტრატეგიული მიზნისგან:

1. **სტრატეგიული მიზანი - სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება**
   ამოცანები:
   1.1. თანმიმდევრული და კოორდინირებული მიდგომის გაძლიერება სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებთან;
   1.2. ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება;
   1.3. საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმის ეფექტიანად უზრუნველყოფა.
2. **სტრატეგიული მიზანი - საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**
   ამოცანები:
   2.1. ბაღების აშენება და კეთილმოწყობა;
   2.2. ბაღების ეზოების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად;
   2.3. ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად.
3. **სტრატეგიული მიზანი - პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა**
   ამოცანები:
   3.1. პერსონალის გადამზადება;
   3.2. პერსონალის საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური და დამხმარე რესურსებით აღჭურვა;
   3.3. პერსონალის მიერ პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის დანერგვა.
4. **სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება**
   ამოცანები:
   4.1. ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფა;
   4.2. მშობელთა და თემის ხელშეწყობა;
   4.3. პროცესის შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების ეფექტური დანერგვა.
5. **სტარტეგიული მიზანი - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კვების მომსახურების ხარისხიანად უზრუნველყოფა**

ამოცანები

5.1. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კვების მომსახურების ხარისხიანად უზრუნველყოფა,
5.2. კვების უზრუნველყოფის რეგულირების მექანიზმის შემუშავება,
5.3. სანიტარულ/ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის შემუშავება

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის ციკლურობა დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ჩანაწერებით, შემუშავების პროცესის, პერიოდულობის, მონიტორინგისა თუ შეფასების მექანიზმის განსაზღვრით. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაშია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესთან".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი 2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც იყო დამტკიცებული ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N33 ბრძანებით. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და მორგებულია ერთ სასწავლო/სააღმზრდელო წელზე. იგი ეფუძნება სტრატეგიულ გეგმასა და ,,სტრატეგიული დაგეგმვის

მონიტორინგის და შეფასების წესს“. (გაერთიანების დირექტორის 16.02. N32ა ბრძანება, მუხლი 11). ერთწლიანი გეგმა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღისთვის (32 ბაღი) საერთოა. ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღისთის არ არის დამტკიცებული კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული გეგმიდან, მისიიდან და მასში ასახულია რომელი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები უნდა შესრულდეს ლესიჭინეს #1 საბავშვო ბაღში.

სამოქმედო გეგმა შემუშავდა შემდეგი ეტაპების შესაბამისად: ა) სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ; ბ) სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის, კერძოდ დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის; გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; დ) სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება, გაერთიანების მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება გაერთიანების დირექტორის მიერ, რაც დასტურდება მეთოდოლოგიითა და გაერთიანების წარმომადგენელთან, საბავშვო ბაღის მენეჯერთან ინტერვიუირებით.
ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის“ მე-11 მუხლის თანახმად, სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება სტრატეგიული გეგმისა და ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე. აღნიშნული წესი დამტკიცებულია 2026 წლის 16 თებერვალს. შესაბამისად, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ვერ დაეფუძნებოდა დაწესებულებების ყოველწლიურ თვითშეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, საკუთარი სამოქმედო გეგმა თავად შეიმუშაოს თითოეულმა დაწესებულებამ.

.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

1. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის" მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამოქმედო გეგმის სავალდებულოდ შესავსები ველებია:
1. სტრატეგიული მიზანი;
2. ამოცანა;
3. აქტივობები; (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობაც)
4.შესრულების გაზომვადი ინდიკატორები;
5. განხორციელების ვადა თვეების ჭრილში;
6. პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები;
7. შესაბამისი რესურსები (დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებს. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. გაწერილი აქტივობების შესრულების ნაწილში, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია, შესრულების ინდიკატორების გრაფა, თითოეული აქტივობებზე გაწერილია ვადები, რომელიც რეალისტურობის საფუძველს იძლევა. თითოეულ აქტივობას ყავს პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული. აქტივობათა განხორციელებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა რეალისტურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის"მე-13, მე-14 და მე-15 მუხლების მიხედვით, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. ხოლო, სამოქმედო გეგმა მონიტორინგდება კვარტალურად, შეფასება კი ხდება წლიურად. დაწესებულების საავტორიზაციო პერიოდისთვის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მტკიცებულებები არ ჰქონდა წარმოდგენილი, ვინაიდან სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი ამ ეტაპისთვის არ ყოფილა. გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წერილობითი ანგარიშების სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა. ამ წესის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება და გაზიარდება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებით. მუხლი 6 მე-2 პუნქტი ადგენს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს:

ა) სოციალური მედია
ბ) ელექტრონული ფოსტა;

სტატუსის მაძიებლის მიერ 2026-2031 სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცდა 2026 წლის 16 თებერვლის N33 ბრძანებით, შესაბამისად ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული განვითარების ან სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გააფართოვოს საკომუნიკაციო არხები. მაგალითად, გამოიყენოს საჯარო ღონისძიებები, შეხვედრები, სხვადასხვა ელექტორნული პლატფორმები და სხვ.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N 32ა ბრძანება "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესის" დამტკიცების შესახებ;

2. დანართი - "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესი" (ბრძ. #32ა 16.02.2026)
3. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 16 თებერვლის N 31 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი #1 (16.02.2026)
5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი #2 (16.02.2026)
6. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N33 ბრძანება 2026-2031 წლის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
7. დანართი - ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების 2026-2031 წლის სტრატეგიული გეგმა
8. დანართი- ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის სამოქმედო გეგმა
9. დაწესებულების საინფორმაციო დაფა
10. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენელთან, დაწესებულების მენეჯერთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის" ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, განახლებული სახელმძღვანელო ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:
2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, განახლებული სახელმძღვანელო “ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბრძანება კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (ბ.25. 05/02/2026), ბრძანება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ დამტკიცების შესახებ (ბ.47. 19/02/26) რომელიც განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბ. 34. 17/06/25) მეორე მუხლის (კურიკულუმის შერჩევა) პირველ და მეორე პუნქტებში: 1. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;
ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;
გ) კურიკულუმების შერჩევა;
დ) კურიკულუმების დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა

სასურველია დოკუმენტაციის თარიღები და ნუმერაცია თნმიმდევრულად, შინაარსის შესაბამისად, ასახავდეს სამუშაო პროცესს

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი, ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითად სფეროსა (ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება) და სამ მიმართულებაში (ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება). თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:
- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს; ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო -სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების

გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში; საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კავშირის დამყარებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი, ხელს უწყობს ბავშვები ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში,რაც ვლინდება სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილ გარემოში მაგალითად: დრამატული თამაშების, ხელოვნების, კვლევა-აღმოჩენის, სენსორულ, კუბურების , სამაგიდო თამაშების, წიგნიერების, მოსასვენებელ სივრცესა და წრეზე შეხვედრების სივრცეში. ასევე ისეთი საქმიანობების ინტეგრაციით, როგორიცაა როლური და სიმბოლური თამაშები, შემოქმედებითი საქმიანობები, მოძრაობითი და სენსორული თამაშები, კვლევითი და შემეცნებითი აქტივობები და ა.შ. რითაც იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას, აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიადიულაური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანებას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბ 34. 05/02/2025) აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის, პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი; დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.
გაერთიანებას დამტკიცებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (ბ.27.05/02/2026). აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (საკომუნიკაციო არხების შერჩევა) მესამე პუნქტის თანახმად, საბავშვო ბაღის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა)პირისპირ შეხვედრები; ბ)საბავშვო ბაღის სოციალური მედიის პლატფორმები; გ)საინფორმაციო დაფები; დ) მოკლეტექსტური შეტყობინება ე) სატელეფონო ზარი; ვ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.
დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბ. 27. 05/02/2026), რომლის თანახმადაც წარმოდგენა 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც შერჩეული კურიკულუმის მიზნების და შინაარსის გაცნობის მიზნით გაწერილია პერსონალთან და

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრები, ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრის ოქმი/ები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება „კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“(დანართი 5. ბ. 34 05/02/2025)
2. ბრძანება კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ (ბ.26. 05/02/2026)
3. დანართი N4 - ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში”
5 ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბ.27. 05/02/2025).
6 ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბ.27. 05/02/2025),
7. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება, ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (2026 წ.).
8. თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი/ები შერჩეული კურიკულუმის გაცნობის მიზნით.

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბ.35. 17/06/2026)

მარეგულირებელი წესის, მე-3 მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა), მეხუთე პუნქტის თანახმად: მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. (ბ. 27 ბ. 05/02/26) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობა და ხანგრძლივობა რეგულირედება, მარეგილირებელი წესის, მე-3 მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა), პირველი (საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები) და მეორე (დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.) პუნქტების თანახმად.
დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ერთკვირიანი და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დოკუმენტაციის თარიღები და ნუმერაცია თნმიმდევრულად, შინაარსის შესაბამისად, ასახავდეს სამუშაო პროცესს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ გაწერილია და დარეგულირებულია გეგმების შემუშავების პროცედურა. ამ დოკუმენტით გეგმების შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს საგანმათლებლო პერსონალი და ქმნის თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის. ცალკე ინდივიდუალური განვითარების გეგმა იქმნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის აღსაზრდელის არსებობის შემთხვევაში. ინდივიდუალური გეგმების შედგენის პროცესში ასევე მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პერსონალი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან და მშობელთან. შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი 6. ბ 35. 05/02/2026). მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმავა), მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: გრძელვადიანი გეგმა იქმნება ბაღების გაერთიანების დირექტორი ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. მოკლევადიანი გეგმა, იქმნება თითეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვთან. შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დამტკიცებული დოკუმენტის -„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბ 35. 05/02/2026) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: აღმზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო. ზემო აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის მეათე მუხლის (პორტფოლიოების წარმოება) მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად:

1. აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ასპექტებს:
ა) დღის განრიგი;
ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
გ) რეფლექსური ჩანაწერები.
2. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;
ბ)ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრების ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და
აქტივობის დროს.
3. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
ა) ფსიქოლოგი, ლოგოპედი: ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ანალიზი, რეფლექსური ჩანაწერი.
მარეგულირებელი წესის თანახმად აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზი ნათლად ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის -„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბ 35. 05/02/2026) თანახმად ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვის მიზნით დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.
- მშობლის უკუკავშირი
- საგანმანათლებლო პროცესში განხორციელებული აქტივობების ანალიზი

მარეგულირებელი დოკუმენტის მეოთხე მუხლის თანახმად ინდივიდუალიზაცია ვლინდება: 1. მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით.2.ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.

3.ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეხუთე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად მოკლევადიანი დღის გეგმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:
თამაშზე ორიენტირებულ პროცესი; სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება.
ადგილზე ვიზიტის პროცესში, აღმზრდელებთან ინტერვიურებისას გამოვლინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ სივრციდან სივრცეში გადასვლისას (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) რუტინული აქტივობები (ქვიშის საათი, სიმღერები). ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეხუთე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მოკლევადიანი გეგმის, დღის განრიგის ერთ-ერთი ასპექტი არის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორინტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.
აღმზრდელებთან ინტერვიურებისა შედეგად და ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.
დათვალიერებისას დაწესებულებაში ჯგუფები და ეზო მოწყობილია სივრცეებად, რაც იძლევა სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად; კერძოდ, დრამატულ სივრცეში-დრამატული და წარმოსახვითი თამაშები; ხელოვნების ცენტრში-შემოქმედებითი თამაშები; მეცნიერების ცენტრი -კვლევითი თამაშები; სენსორული ცენტრი-სენსორული თამაშები; კუბურების ცენტრი-კონსტრუქციული თამაშები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველი, დაწესებულებამ განაახლოს შიდა და გარე რესურსი სხვადასხვა ტიპის თამაშების განსახორციელებლად. რაც გათვალისწინებულია შერჩეული კურიკულუმით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი:
გაერთიანებულ საბავშვო ბაღის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის -„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6.)მოცემული წესის მე-5 მუხლის თანახმად:

- დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.
- დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს.
- დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
- დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს.
- საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას.
- მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიენრების მმართველის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად.
- დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

მექანიზმის მიხედვით დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. ბავშვის ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებისთვის, ასევე კურიკულუმით დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის, ამ მუხლით მექანიზმებთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისათვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. დაწესებულებას აღნიშნულ წესში ასევე განსაზღვრული აქვს რესურსების მოძიების შემდეგი ალტერნატიული გზები: მოგროვება, დონაცია, დამზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-ბრძანება (ბ.30. 173/03/2026), თანდართული დანართის (ინსტრუმენტის) შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფი პარამეტრები) მეხუთე პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე.
ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მტკიცებულება დაწესებულების წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნულია საბავშვო ლიტერატურის და მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი.სათამაშოების მიღება-ჩაბარების ერთი აქტი (2025 / 23/12.)

თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა არ მოიცავს მინიმალურ რაოდენობას, შესაბამისად ვერ მოხერხდა შეფასება თუ რამდენად უზრუნველყოფილია თანაფარდობა არსებული რესურსის დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დაზუსტება. თითოეული ერთეულის რაოდენობრივი მაჩვენებლის მითითებით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი თანაფარდობის შეფასება ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ

1. პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
2. შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა;
3. სამუშაოების განხორციელება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა კურიკულუმისა და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და მათი მიწოდება.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები, თვეებში. (12 თვე12/06/26-27),

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6.) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.
დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.
დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი, კალენდარი და ცენტრების ვიზუალური მინიშნებები წარწერით.
ჯგუფებში წარმოდგენილა სივრცე ბავშვების ნამუშებრებისთვის, რომელიც შესაძლებელია თავად ბავშვებმა გამოიყენონ; ჯგუფის მასალა და ავეჯი ბავშვის ზომისაა. ჯგუფის ოთახების კედელზე განთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი, ჯგუფის წესები და სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა; თითეული ჯგუფის ოთახთან არის მისაღები სივრცე მშობლებისათვის, სადაც მათთვის კედელზე განთავსებულია ასევე საინფორმაციო დაფა.
გარე სივრცეში/ეზოში შესაძლებელია ბურთით თამაში, ეზოში არის განთავსებული საქანელა, სასრიალო, ასაძრომი, ბალანსის დაცვის სათამაშო; აქვთ სივრცე სენსორული, დრამატული თამაშებისათვის, შენობა/კარავი, მაგიდა, სკამები, ბოსტანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
……
……
რჩევა
სასურველი, დაწესებულებამ განაახლოს შიდა და გარე რესურსი სხვადასხვა ტიპის თამაშების განსახორციელებლად. რაც გათვალისწინებულია შერჩეული კურიკულუმით
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……
……

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.
დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად: ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა რომ, დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში კარადები განთავსებულია ბავშვების სიმაღლის შესაბამისად, არის ღია და ხელმისაწვდომი; ცენტრებში ფუნქციურად არის გადანაწილებული ბუნებრივი და მეორადი რესურსი. მაგალითად: სენსორულ ცენტრში კინეტიკური ქვიშა, გირჩები, მაკარონი, კენჭები, რკო, პლასტელინი და ა.შ; დრამატულ სივრცეში: თოჯინები, მინი სცენა თოჯინების თეატრისთვის, ხილ-ბოსტანი,
საკიდი სხვადასხვა ტანსაცმელით,სათამაშო სამზარეულო, გაზქურა, სარეცხის მანქანა, ქუდები,ნიღბები, სათამაშო სახლები,
საუთავებელი მაგიდა, ექიმის აქსესუარები, ცხოველები და ა.შ; მეცნიერების ცენტრში: ფოტოები გამოკრული, ლობიო, სიმინდი.. და ა.შ; კუბურების ცენტრში: მრავალფეროვანი კუბურები, ბურთები და ა.შ; ხელოვნების ცენტრი:
ფუნჯები, მაკრატლები, წებო, ფერადი ქაღალდები, ჩხირები , პლასტელინები, გუაშები , საძერწი დაფები, ფერადი ფანქრები და ა. შ;
წიგნიერების ცენტრში: ილუსტრირებული წიგნები, ვიზუალური ბარათები, ანბანი, ხელნაკეთი სენსორული სახელმძრვანელოები და ა.შ.
გარე სივრცის ვიზუალური დათვალიერებისას ეზოს სივრცე მოწყობილია დრამატული თამაშებისთვის: სვრცეებში არის მაგიდა, სკამები, სათმაშო ჭურჭელი, ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტები, ბუნებრივი და მეორადი რესურსე; გირჩები,კენჭები.. და ა.შ. ასევე არის საქვიშე, ბოსტანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველი, დაწესებულებამ განაახლოს გარე რესურსი სხვადასხვა ტიპის თამაშების განსახორციელებლად. რაც გათვალისწინებულია შერჩეული კურიკულუმით

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაწესებულებაში ოთახების სივრცე მოწყობილია ისე რომ ბავშვებს შეუძლიათ როგორც აქტიურ ისე პასიურ თამაშებში ჩართვა. გარემო დაყოფილია ცენტრებად (სენსორული, მეცნიერების, დარმატული, ხელოვნების, წიგნიერების, სამაგიდო, კუბურების, შეხვედრების სივრცედ). ასვე არის სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩით, ფარდით და ბალიშებითა, სადაც ბავშვებს განმარტოვების საშუალება ექნებათ. გარემოში წარმოდგენილია სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, მცირე ჯგუფებისთვის ცენტრები, ხოლო დიდი ჯგუფებისთვის საერთო შეხვედრების სივრცე. გარემო იძლევა ცვლილების შესაძლებლობას საჭიროებიდან გამომდინარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების მიერ დამტკიცებული წესის „საგანმნათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბ.35. 17/06/2026) მე-8 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა: დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვებების ჩანაწერები; კითხვარები, ჩეკლისტები. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია მარეგულირებელი წესის დანართების სახით.
ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმები წარმოდგენილია მარეგულირებელი დოკუმენტის დანართის სახით და დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა რომ საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის ბრძანების (ბ.35. 17/06/17) ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად და დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი. ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის თანახმად შეფასების პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რეაგირება ხორციელდება:
ა)მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით,
ბ)გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით,
გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს,
დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
გაერთიანების ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მე-6 პუნქტის თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი, მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის

შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ბრძანება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7. ბ.27. 05/02/2026).
2. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი 7. ბ.27. 05/02/2026)
4. თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრის ოქმი კურიკულუმის გაცნობის მიზნით (ოქმები)
5. . ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბ. 34. 17/06/2026)
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).
7. ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
8. სათამაშოების და საკანცელარიო მასალის მიღების /ჩაბარების აქტი;
9. ინტერვიუს შედეგები

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

"საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"-ს მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს: ა) პროცესის დაგეგმვა; ბ) განხორციელებული აქტივობები; გ) ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება; დ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება); ე) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე. მიდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად 2 წელიწადში ერთხელ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბ. 35. 17/06/25) მეხუთე მუხლი(კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) არეგულირებს კურიკულუმის შეფასების საფუძველზე, გაკეთებული მიგნებების და რეკომენდაციების მიხედვით კურიკულუმში ცვლილებების შეტანის საკითხს;
კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. ამ ეტაპზე ცვლილების განხორციელება ჯერ არ უწევს. თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი 5. ბ 34. 17/06/25)
2. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბ.35. 17.06/26)
3. ინტერვიუს შედეგები

.

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-(ბ. 27. 05/02/26) აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;
ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა;
გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;
დ)კომუნიკაციასთან დაკავშირებული, პასუხიმგებლობების გადანაწილება;
ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა;
ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

საკომუნიკაციო გეგმაში, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, გასახორციელებელი თვეები და პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები (შეხვედრები ბაღის პერსონალთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან/თემთან, ბაღის მისიის, ხედვის ღირებულებების; მშობლებისათვის კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გაცნობის, საკონსულტაციო საბჭოს ეფექტური მუშაობის, საკომუნიკაციო არხების შერჩევის, თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების გაცნობის მიზნით).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა[
ბრძანება (ბ.27, 05/02/2026) „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7) და ბრძანება (ბ.27, 05/02/2026) საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში. დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან. დაწესებულების მენეჯერთან და მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, განსახორციელებელი აქტივობის დროის მოახლოებისას მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განმეორებით განათავსონ ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბ.27. 05/02/2026), აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია:

ა) პირისპირ შეხვედრები;
ბ) სოციალური მედიის პლატფორმები,
გ) საინფორმაციო დაფები;
დ) მოკლე ტექსტურიშეტყობინებები/სატელეფონო ზარები;
ე) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.
ვ) მშობელთა საინფორმაციო დაფები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი'';
2. ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა;"
3. ინტერვიუს შედეგები

.

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს "საკომუნიკაციო გეგმა" (ბ.27. 05/02/2026), საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას ბავშვის უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და ადრეული

ასაკის ბავშვის განვითარების სპეციფიკის შესახებ, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით, კერძოდ: საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა თემაზე მათი ცნობიერების ასამაღლებლად როგორიცაა ბავშვთა განვითარება, ემოციური და სოციალური ქცევათა მხარაჭერა, კვება, უსაფრთხოება და სხვა. აღნიშნულ თემებთან დაგეგმილი აქტივობები დადასტურდა საგანმანათლებლო პერსონალთან, კერძოდ აღმზრდელთან და აღმზრდელ პედაგოგთან ინტერვიუირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბ.35.17/06/26), აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს უზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს უზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება და აღმზრდელი ითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალიწინებული აქტივობების განხორციელებისას. კერძოდ, დაწესებულებას საკომუნიკაციო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი აქვს შემდეგი აქტივობები: გასვლითი აქტივობები სასკოლო ასაკის ჯგუფის საჯარო სკოლაში და ბიბლიოთეკაში, დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელებთან ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად (სკოლა, ბიბლიოთეკა).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის (ბ. 27. 05/02/2026) ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის'' მუხლი-6 (განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა) განსაზღვრავს შემდეგს: კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად,
დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს, ღია შეხვედრებს და კითხვარებს.
ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი/ჩანაწერი, რომელიც, დაარეგულირებს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას. რადგან ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად დასტურდება, რომ ოჯახთან და
თემთან დაგეგმილი აქტივობების შეფასებას დაწესებულება განახორციელებს მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეფასების შემდეგ საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმილ აქტივობებში განახორციელებს ცვლილებების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია .

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი'';

2. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბ.35.17/06/26),
3. “საკომუნიკაციო გეგმა“ (ბ.27. 05/02/2026),

შეფასება: *(გთხოვთ, ასახოთ შეფასება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.)*			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, რომელიც დამტკიცებულა ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის #32 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია გაერთიანებისა და მასში შემავალი საბავშვო ბაღების ორგანოგრამა, თითოეულისთვის ცალ-ცალკე. სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ ორგანოგრამაში გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები. დაწესებულებამ ასევე წარმოდგინა საშტატო ნუსხა, დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების მითითებით რაოდენობრივად, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დაწესებულების ორგანოგრამა გამომდინარეობს დაწესებულების საშტატო ნუსხიდან, რომელიც მტკიცდება გაერთიანების დირექტორის მიერ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით (2026 წლის 08.01. ბრძანება N1). ბაღში ჰყავთ საკმარისი რაოდენობის პერსონალი, შესაბამისი კომპეტენციით და კვალიფიკაციით, ისინი პასუხისმგებლები არიან ცალკეული პროცესების განხორციელებაზე. ბაღს ჰყავს 12 თანამშრომელი:

1. მენეჯერი
2. მენეჯერის მოადგილე
3. აღმზრდელი სპეციალისტი (I ცვლის აღმზრდელი) - 2
4. შემცვლელი აღმზრდელი სპეციალისტი (II ცვლის აღმზრდელი) – 2
5. მუსიკის სპეციალისტი -1
6. მზარეული - 1
7. მზარეულის თანაშემწე - 1
8. ძიძა - 2
9. მედდა - 1

დაწესებულებაში დაცული არ არის აღმზრდელების თანაფარდობა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება დასაქმებულთა ფუნქციებს, ის დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის შინაგანაწესში, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 4 თებერვლის N23 ბრძანებით და 2026 წლის 4 თებერვლის N22 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში (მუხლი 7). მასში გაწერილია კადრების შერჩევა/მოზიდვა, პერსონალის დანიშვნის გზები, თანამშრომელთა შეფასება, პროფესიული და კარიერული განვითარება, ხელშეკრულებების პირობები, პირადი საქმეების წარმოების მექანიზმი, ასევე მითითებულია, რომ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება 2021 წლის 18 იანვარს დამტკიცებული N2 ბრძანებით - საბავშვო ბაღების პერსონალთა ფუნქციები.
ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებისთვის დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი პერსონალი. გაერთიანებას ჰყავს ფსიქოლოგი რომელიც ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას, რასაც ადასტურებს დაწესებულების პერსონალის ინტერვიურირება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებას ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი. სასურველია დაწესებულებამ განაახლოს შინაგანაწესი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, „ ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესში (ბრძ. #23 04.02.2026) განსაზღვრული არ არის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა ფუნქციები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმრდელო დაწესებულებების პერსონალის ფუნქციები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2021 წლის 18.01. N2 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაო აღწერილობა). აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების სისტემაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები. ფუნქციების შინაარსი აღწერითია, კერძოდ, ვინ, როდის და რას აკეთებს. ვინ ვისთანაა პასუხისმგებელი, რაც ასევე წარმოდგენილია დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც იკითხება პირების/სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გამიჯნული ფუნქციები. დაწესებულების ორგანოგრამა ასახავს: ა) იერარქიას; ბ) სტრუქტურული ერთეულებს ან/და პირებს; გ) დაქვემდებარებასა და ანგარიშვალდებულებას; დ) კავშირებს; ხოლო სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნები გაწერილია გაერთიანების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი არ არის სრულყოფილი და არ იძლევა ინფორმაციას ყველა დასაქმებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

ინტერვიუირებისას გაერთიანების წარმომადგენელმა და საბავშვო ბაღის მენეჯერმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება წინასწარ აცნობს მის ფუნქციებს და სამუშაო აღწერილობას დასასაქმებელ პირს, ასევე შინაგანაწესი გაცნობილია ბაღის თანამშრომლებისათვის, რასაც ადასტურებს ბაღის თანამშრომლებთან ინტერვიუც. შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე თანამშრომელთა ხელმოწერა დაფიქსირებულია პირად საქმეებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ განაახლოს დოკუმენტი და უფრო კონკრეტულად გაწეროს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გაწერილი აქვს 12 თვიანი პერიოდი; 12.06.2026 - 12.06.2027. შესაბამისობის უზრუნველყოფის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აქტივობა/აქტივობები - 1. პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; 2. შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა; 3. სამუშაოების განხორციელება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამის დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და ერთიანი და განახლებული დოკუმენტის მიღება, რომელშიც უფრო კონკრეტულად იქნება გაწერილი ყველა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია დოკუმენტებით:

1. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (მუხლი 11), რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ბრძ. #22 04.02.2026)

2. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ბრძ. #24 04.02.2026)

3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N 36 დადგენილება

დოკუმენტები შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილების საფუძველზე და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
გაერთიანების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით, არ არის სრულყოფილი და **არ იძლევა ინფორმაციას ყველა დასაქმებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.**

ადგილზე ინტერვიუირებით და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული (66 სთ.), რომელიც მოთხოვნილია საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებში გავლილი აქვს ერთ აღმზრდელს. პერსონალს გავლილი აქვთ შემდეგი სახის ტრენინგები: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდული - "ადრეული განვითარების კურიკულუმი თამაში", სპმთპ - "სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები, კომუნიკაცია მშობლებთან", სპმთპ - "სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინკლუზია", სპმთპ -ტრენინგი სკოლამდელი დაწესებულების მუსიკის მასწავლებელთათვის და სხვა მრავალი სახის ტრენინგი. ბაღის პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება თანამშრომლის პირად საქმეში.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომლის პირად საქმეში. თანამშრომლის პირადი საქმეები ინახება გაერთიანებაში და მათი ასლები და დამატებითი დოკუმენტაციები, მათ შორის სერტიფიკატები ინახება საბავშვო ბაღში.

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში მუხლი 17 - პერსონალის კვალიფიკაცია, პუნქტი 2-ის მოთხოვნაა - «დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა”. შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის დაწესებულების არცერთი პერსონალის პირად საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი და განახლებული დოკუმენტი, რომელშიც უფრო კონკრეტულად იქნება გაწერილი ყველა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გაწერილი აქვს 12 თვიანი პერიოდი; 12.06.2026 - 12.06.2027. შესაბამისობის უზრუნველყოფის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აქტივობა/აქტივობები - 1. პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; 2. შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა; 3. სამუშაოების განხორციელება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამის დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და ერთიანი და განახლებული დოკუმენტის მიღება, რომელშიც უფრო კონკრეტულად იქნება გაწერილი ყველა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 18 თებერვალს დამტკიცებული ბრძნება N34ა, პირველადი სამედიცინო დახმარების წესის შესახებ. ბავშვებთან უშუალოდ შეხებაში მყოფ პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებული ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარება საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის აქვს გავლილი დაწესებულების შემდეგ პერსონალს: დაწესებულების მენეჯერს, მედდას, 4 აღმზრდელს (2 - პირველი ცვლის აღმზრდელი და 2 - მეორე ცვლის აღმზრდელი), მუსიკის სპეციალისტს.
შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) დასტურდება პირადი საქმეებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პერსონალის თითოეული წევრისთვის ყოველწლიურად ახლდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულირებით, ტრენინგით და სხვა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა დოკუმენტი - პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ. #22 04.02.2026), რომელიც მე-4 მუხლში მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას:

ა) ორგანიზება/დაგეგმვა - აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების, საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომლობისათვის პერსონალის სამუაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს;

ბ) ორგანიზაციაში შემოსვლა -აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერცევის და ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესებს;

გ) სამუშაოს მართვა - აერთიანებს შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული განვითარების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს;

დ) ორგანიზაციიდან გასვლა - აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს.

წარმოდგენილი მიმართულებების საშუალებით ხდება დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები - ადამიანური რესურსების დაგეგმვა, ფუნქციები, კომპეტენციები და სამუშაო აღწერილობა, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა, პერსონალის შერჩევა, ღია კონკურსი, კონკურსის ეტაპები, პირდაპირი დანიშვნა, მართვა, დისციპლინარული პასუხისმგებლობა, განთავისუფლება, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია და მათი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში, თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია, ორგანიზაციული კულტურა, პერსონალის შეფასება და სხვა.

დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება დადგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა (ბრძ. #22 04.02.2026) და შრომის შინაგანაწესის (ბრძ. #23 04.02.2026) შესაბამისად, რაც დასტურდება დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირებით.

აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს შრომის შინაგანაწესს და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს. ინტერვიუს დროს მენეჯერთან და გაერთიანების წარმომადგენელთან იკვეთებოდა დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალის მართვის მიდგომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ განაახლოს შრომის შინაგანაწესი. რომელიც თანხვედრაში იქნება პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტთან და დაარეგულირებს პერსონალის მართვის პროცესებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებასა და თანამშრომელს შორის შრომით ურთიერთობის საკითხებს არეგულირებს შრომის შინაგანაწესი, ბაღში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მუხლი 21. ამავე დოკუმენტის მუხლი 22 არეგულირებს თანამშრომელთა პირადი საქმის შემადგენლობას. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას დგინდება, რომ დაწესებულების თანამშრომელთა პირად საქმეებში არ დევს შრომითი ხელშეკრულებები. გაერთიანების წარმომადგენელთან და დაწესებულების პერსონალის ინტერვიუირების შედეგად, დგინდება რომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ხელშეკრულება ფორმდება ერთი თვის ვადით სამუშაოზე აყვანის დროს. ერთი თვის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების განახლება არ ხდება და თანამშრომელი საშტატო ნუსხით მტკიცდება - "შტატში ჯდება". დაწესებულებას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N35 ბრძანებთ დამტკიცებული აღმზრდელი სპეციალისტის ხელშეკრულების ნიმუში, სადაც არ არის განსაზღვრული საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო, პირობები და საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებში განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #488 დადგენილებისა და ავტორიზაციის სტანდარტების აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით სამუშაო საათები, უნდა მოიცავდეს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკანტაქტო დროს და მათ ფარგლებში განსახორციელებლ საქმიანობათა ჩამონათვალს.

მტკიცებულების სახით წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულება არ არის შესაბამისობასი დადგენილ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ხელშეკრულების არსებითი პირობები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი". შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულება, მათ შორის არასრული სამუშაო განაკვეთის შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არსებით პირობებს. ეს არსებითი პირობებია:

ა) ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ

ბ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა

გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;

დ) სამუშაო ადგილი;

ე) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;

ვ) შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი;

ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

თ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შევბულების მიცემის წესი;

ი) დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი;

კ) კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებები

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება დადგენილი წესით, მათ შორის აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გაწერილი აქვს 12 თვიანი პერიოდი; 12.06.2026 - 12.06.2027. შესაბამისობის უზრუნველყოფის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აქტივობა/აქტივობები - 1. პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; 2. შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა; 3. სამუშაოების განხორციელება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში საკონტაქტო და

არასაკონტაქტო დროის ასახვა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების აღწერა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში თანამშრომლის მოზიდვა შერჩევის პროცესი არეგულირებს სამუშაოზე აყვანის გამჭვირვალე და გაწერილ პროცედურას. რომელიც სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით (ბრძ. #22 04.02.2026) პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობას. დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტით არჩეული აქვს ჰიბრიდული ვერსია: კონკურსი (ღია ან დახურული) და პირდაპირი დანიშვნა. ამ ეტაპისთვის დაწესებულება იყენებს პირდაპირი წესით დანიშვნას. აღნიშნულს ადასტურებს დაწესებულების პერსონალის ინტერვიუირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის (ბრძ. #22 04.02.2026) მუხლი 18 ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის შემდეგ მექანიზმებს:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) ტრენინგების/ სასწავლო კურსების უზრუნველყოფა

დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანაშმრომლის ინფორმირება;

მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება

პერსონალი დაწესებულებაში დასაქმებამდე გადის ადაპტაციას, ეცნობა თანამდებობრივ ინსტრუქციას. ეცნობა დაწესებულების შინაგანაწესს, მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრუქტურას, ახალ თანამშრომლებს, ეძლევა ინფორმაცია სამუშაო აღწერილობისა და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ. გამოცდილებას უზიარებენ და ეხმარებიან ადაპტაციაში, რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს ორგანიზაციული კულტურის უზრუნველყოფას. ორგანიზაციის მისიის, ხედვის და ღირებულებების გათავისებას, რაც ზრდის თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციას, დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპს რასაც მარეგულირებელ დოკუმენტთან ერთად, ადასტურებს დაწესებულების ღირებულებები - სააღმზრდელო გარემო არის ინკლუზიური, უნივერსალური დიზაინის და ჰოლისტური განვითარების შესაბამისი. აღნიშნულს ასევე ადასტურებს დაწესებულების პერსონალის ინტერვიუირება, რომლის დროსაც პერსონალმა აღნიშნა რომ დაწესებულებაში ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროცესი გუნდურად მიმდინარეობს. მაგალითად, პერსონალი ჩართულია კურიკულუმის შერჩევაში, მისი შესაბამისი გრძლევადიანი თუ მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში. შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობასა თუ საგნმანათლებლო რესურსის შერჩევაში. სანიტარია-ჰიგიენის დაცვასა და ბავშვების კვებით უზრუნველყოფაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების, განვითარებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად განახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას, რაც გაწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მექანიზმი არის გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. თანამშრომელთა საჭიროების მოკვლევის მიზანია ფაქტორების იდენტიფიცირება, და თანამშრომლების საქმიანობის შეფასება, აღნიშნულს უზრუნველყოფს სტატუსის მაძიებელი, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მუხლი 19-ით. პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა გამოყენებულია მათი პროფესიული განვითარებისთვის რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მუხლი 20-ით. ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუირების დროს აღმოჩნდა, რომ აღმზრდელების კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის თანახმად დაწესებულების პერსონალის განვითარების გეგმა ეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს (მოკვლევა/ანალიზს).

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N22 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება (მუხლი 20), არეგულირებს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სადაც აღნიშნულია, რომ პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, გაერთიანება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.
გაერთიანებამ პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი მეთოდები:
ა) ტრენინგი;
ბ) ქოუჩინგი;
გ) მენტორინგი;
დ) პროექტები;
ე) სამუშაოს გამრავალფეროვნება;
ვ) თვითგანვითარება;
ზ) კონსტრუქციული უკუკავშირი;
თ) სხვა.
    პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია გაერთიანების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების დოკუმენტები, დიპლომი/სერტიფიკატები. პერსონალის განვითარება ხორციელდება შემუშავებული გეგმის მიხედვით, პერსონალის ინიციატივების გათვალისწინებით. დაწესებულებას 2026 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგები. - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული (66 სთ.), რომელიც მოთხოვნილია საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, ტრენინგ-მოდული - “ადრეული განვითარების კურიკულუმი თამაში”, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის საჭიროებათა მოკვლევებისა და დაგეგმილი ტრენინგების გარდა ითვალისწინებს თანამშრომელთა ინიციატივებსა და სურვილებს, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი(ბრძ. #22 04.02.2026) მუხლი 19, სადაც გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. ასევე ინიციატივები პერსონალის მხრიდან იკვეთება ზეპირსიტყვიერადაც. სტატუსის მაძიებელი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში არსებული ჩანაწერები დასტურდება პრაქტიკაში პერსონალის ინტერვიუირებისას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის მართვის წესისა და მექანიზმის შესაბამისად განახორციელოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების ორგანოგრამა
2. 2026 წლის 4 თებერვლის N23 ბრძანებით დამატკიცებული შინაგანაწესი
3. 2026 წლის 8 იანვრის ბრძანება N1 - საშტატო განრიგის შესახებ
4. 2026 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები
5. 2022 წლის 1 თბერვლის N1 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა ფუნქციები
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ;
7. ადგილზე ვიზიტი/ ინტერვიუ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის და გაერთიანების წარმომადგენლებთან
8. 2026 წლის 18 თბერვლის N34ა ბრძანებით დამტკიცებული პირველადი სამედიცინო დახმარების წესი
9. 2026 წლის ბიუჯეტი
10. პერსონალის პირადი საქმეები;
11. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი
12. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენელთან, დაწესებულების მენეჯერთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N25ა ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს, რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების მექანიზმსა და სამოქმედო გეგმას, შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

მმართველობით პროცესად განსაზღვრული აქვს

- სტრატეგიული დაგეგმვა
- ხარისხის უზრუნველყოფა;

ძირითად პროცესად განსაზღვრული აქვს:

- კურიკულუმის შერჩევა, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
- საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა;
- ბავშვების რაოდენობის მართვა;(რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა)
- სსსმ ბავშვების მომსახურება;
- მშობლებთან და თემთან ურთიერთობა;
- ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკა;

დამხმარე პროცესებად განსაზღვრული აქვთ:

- პერსონალის მართვა და განვითარება;
- მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;
- საქმისწარმოება;
- პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრხოება;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესების მართვას უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N25ა ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმეტით, რომელიც მოიცავს პროცესების აღმწერებს, რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაერთიანებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერთიანება რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ავლენდა საკითხის ცოდნას და მზაობას წესის შესაბამისად პროცესის განხორციელებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N27ა ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. ამ წესის მიზანია ბავშვის რეგისტრაციისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის სისტემის რეგულირება, პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მე-2 მუხლის შესაბამისად დაცულია: ა) კანონიერება; ბ) თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; გ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება; დ) თემის/რეგიონის საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინება; ე) მართვის მოქნილობა და ეფექტიანობა. მე-3 მუხლის მიხედვით გაერთიანება ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესს ახორციელებს მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი ფორმების/განცხადებების გამოყენების გზით. შევსებული განცხადების მიღება ხდება როგორც ადგილზე დაწესებულებაში მისვლით, ასევე საფოსტო ან ელექტრონული გზავნილების სახით. რეგისტრაციის მსურველისთვის დარეგისტრირების დასტურის, ან მომლოდინეტა სიაში მოხვედრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სატელეფონო კავშირით.

აღნიშნული წესის მე-5 მუხლი არგულირებს ბავშვთა ჩარიცხვა - ამორიცხვის წინაპირობას, ჯგუფის დაკომპლექტებას, რეგისტრაციის შეჩერებას, ჯგუფის შექნას და სხვა. დაწესებულებაში ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჭირო დოკუმენტების დაწესებულებაში მატერიალური ფორმით წარმოდგენით.

აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ აქვს ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყებისა და დამთავრების თარიღი და ბავშვთა რეგისტრაციის გამოცხადების ვადები. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ინფორმაცია დაინტერესებული პირებისათვის ცნობილი ხდება სოციალური ქსელით და პირადი საუბრებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ განსაზღვროს და საჯარო გახადოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყებისა და დამთავრების თარიღი და ბავშვთა რეგისტრაციის გამოცხადების ვადები, როგორც ეს გაწერილი ბავშვების რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N27ა ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც ასევე არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სახელზე;
ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
გ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
დ) ბავშვის ფოტოსურათი 3x4;
ზ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ინფორმაცია

პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ ბავშვთა პირადი საქმის წარმოების წესი და შესაბამისი მოთხოვნები.

სტატუსის მაძიებელს ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N27ა ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს ასევე პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესსაც. წესის თანახმად, პირადი საქმე მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

- განცხადება - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- რეზიუმე;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები:
  ა) ცნობა ნარკოლოგიურიდან

ბ) ცნობა ნასამართლეობის - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“

- შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
- შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

არცერთ პირად საქმეში არ დევს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.

ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმე არის კონფიდენციალური. პირადი საქმეების ნაწილი ინახება გაერთიანებაში, ხოლო ასლები და დამატებითი დოკუმენტაცია, მათ სორის სერტიფიკატები ინახება დაწესებულებაში. დაწესებულებას არ აქვს საქმისწარმოების დადგენილი წესი, რომელიც არეგულირებს საბავშვო ბაღში დოკუმენტების მომზადების, მიღების, რეგისტრაციის, გადაცემის, შენახვისა და არქივის წარმოების ერთიანი წესს, დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს საქმისწარმოების წესი, რომელიც დაარეგულირებს საბავშვო ბაღში დოკუმენტების მომზადების, მიღების, რეგისტრაციის, გადაცემის, შენახვისა და არქივის წარმოების ერთიანი წესს, დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N25ა ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმეტი
2. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N27ა ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი.
3. ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N22 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
4. პერსონალის პირადი საქმე
5. ბავშვის პირადი საქმე (შაბლონი)
6. ადგილზე ვიზიტი/ ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:
4.3 მატერიალური რესურსი

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა "დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი", რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ 2026 წლის 18 თებერვალს N34ა ბრძანებით. აღნიშნულ მექანიზმში აღწერილია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საბავშვო ბაღის მედდა. ბავშვებთან უშუალოდ შეხებაში მყოფ პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებული ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარება საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის აქვს გავლილი დაწესებულების შემდეგ პერსონალს: დაწესებულების მენეჯერს, მედდას, 4 აღმზრდელს (2 - პირველი ცვლის აღმზრდელი და 2 - მეორე ცვლის აღმზრდელი), მუსიკის სპეციალისტს.
შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) დასტურდება პირადი საქმეებით.

დოკუმენტში, მუხლებისა და პუნქტების მიხედვით დეტალურადაა გაწერილი - პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, პირველადი გადაუდებელი დახმარება გულის წასვლის დროს, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება,გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახება, პირველადი დახმარება სამედიცინო ტრამვის დროს, პირველადი დახმარება საჭმლის გადაცდომის დროს, ცხვირიდან სისხლდენის დროს, დამწვრობის დროს და სხვა პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები.

საბავშვო ბაღში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო კაბინეტი მედდისთვის, რომელიც მოწყობილია კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად და აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით.
დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეესაბამება ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს. დაწესებულებას ასევე არ აქვს შემუშვებული ხანძარსაწინააღმდეგო და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა. წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.

საევაკუაციო გეგმები და ვიზუალური მინიშნებები გამოკრულია ბაღის შენობაში შესაბამის ადგილას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში (12 თვე) საგანგებო სიტუაციების მათვის გეგმისა და ხანძარსაწინააღმდეგო და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნის მომზადება

რჩევა

სასურველია,

- საგანმანათლებლო პერსონალისათვის ყოველწლიურად ახლდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულირებით, ტრენინგით და სხვა. სასურველია, პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და აღსაზრდელების სწავლება, სიმულირება განხორციელდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ. სწავლება, სიმულირება ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების გამომუშავებას.
- დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისას ითანამშრომლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გაწერილი აქვს 12 თვიანი პერიოდი; 12.06.2026 - 12.06.2027. შესაბამისობის უზრუნველყოფის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აქტივობა/აქტივობები - 1. უფლებამოსილი ორგანოს მიერ საგანგებო სიტუაციების მაფრთვის გეგმის შეთანხმება; 2. შეთანხმებული გეგმის დამტკიცება; 3. დამტკიცებული გეგმის შესაბამისი პირებისთვის გაცნობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აღწერილი აქვს მის ტერიტორიაზე არსებული ყველა მცენარე. ჩამონათვალი დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც.

პერსონალთან ინტერვიუმ დაადგინდა, რომ საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში აქვთ ინფორმაცია მცენარეთა უსაფრთხოების შესახებ. დარგის ექსპერტის მხრიდან კომპეტენტური შეფასება რამდენად უსაფრთხოა დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები ბავშვისა

და პერსონალის ჯანმრთელობისთვის დაწესებულებას არ აქვს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი მცენარეების შერჩევისას, ცენტრი ითანამშრომლებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ ბავშვისა და პერსონალის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვა და შეფასება მოახდინოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას, ,,ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი"-ს მუხლი მე-5, პუნქტი 7-ის მიხედვით, აუცილებელ მოთხოვნად მითითებული აქვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის) რაც წარმოადგენს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს.
კურიკუკუმით განსაზღვრული თემის ჩართულობით გასახორციელებელი აქტივობების განხოორციელებისას, როგორიცაა ბავშვების გაყვანა თემში არსებულ სხვადასხვა ლოკაციებზე, ბავშვის უსაფრთხოების დაცვისა და მშობელთა ინფორმირების მიზნით გაერთიანებას შემუშავებული აქვს ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყვების ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა.
დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმის შაბლონი ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშოს პერსონალისა და ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას უსაფრთხოების ნორმების დაცვის მარეგულირებელ მექანიზმს,სადაც ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ მშობლების ინფორმირებულობისა და ნებართვის (წერილობით ფორმით) მექანიზმის გარდა, შემუშავებული იქნება ბავშვთა უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის დეტალური გეგმა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შენობაში განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური მინიშნებები, ცენტრებში გადასაადგილებლად, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, რაც დაეხმარება ბავშვებს დროისა და აქტივობების, დაწესებულების სივრცის თანმიმდევრულობის აღქმაში. ასევე, ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. დაწესებულებამ წარმოადგინა დასურათებული დღის განრიგი, რომელიც ასახავს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობას. ბავშვები თავს უფრო დაცულად გრძნობენ როცა აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ. დღის განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს დაწესებულების აღმზრდელთან ინტერვიუ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს, რასაც ადასტურებს თანამშრომელთა პირადი საქმეები და დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუ. ზემოხსენებული ასევე დასტურდება წარმოდგენილი გეგმებით, განრიგით და შეხვედრების შესახებ ჩანაწერებით,. დაწესებულების პერსონალი ფლობს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, რაც დადასტურდა გასაუბრების დროსაც.

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N22ა ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი. დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N21 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს გაერთიანებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღისთვის ერთი რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს საქმიანობის პროცესის წარმართვისას ბავშვის უფლებებს, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ ბავშვის უფლებებისა და საქმიანობის წარმართვის პროცესში მათი დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალის ცნობიერების ამაღლებისთვის სამოქმედო გეგმაში გაწეროს შესაბამისი სახის ტრენინგები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

